ცხადდება კონკურსი
თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებისთვის
ლაკვილას უნივერსიტეტში (იტალია)
ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს რომლებიც ფლობენ ინგლისურ ან იტალიურ ენას:

მიმართულებები (ინგლისურენოვანი/იტალიურენოვანი):

- მათემატიკა;
- კომპიუტერული მეცნიერებები;
- ფიზიკა;
- ქიმია;

მობილობის პერიოდი: 2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

მობილობის ხანგრძლივობა: 8 დღე

აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ან/და მასპინძელი უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი
5. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
6. შევსებული სამუშაო გეგმა **(Mobility Agreement)** ინგლისურ ენაზე: სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს 8 სალექციო საათს კვირაში; დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; დანართი **1;**
7. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი

უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 5 აგვისტოს 14:00 საათამდე (თბილისის დროით).

- *გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია;*
- *რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე*

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ

- მითითებული ვადის (5 აგვისტოს 14:00 საათი) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- **გასაუბრების ზუსტი დრო და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე** [mobility.tsu.ge] **მითითებულ მეილზე; გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.**

ბ) ფინანსები და მობილობასთან დაკავშირებული სხვა პირობები:

- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მიმღები უნივერსიტეტი ანაზღაურებს როგორც სამუშაო, ასევე ერთ ან ორ სამგზავრო დღეს, რაც განიხილება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღების და გადაწყვეტილების შემდგომ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge